

**ოქმი #12**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

2019 წელი, 30 აპრილი  
ქ. ოზურგეთი  
16.00 – 17.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:  
გ.დურჯუმელიძე, ე.გორდელაძე, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე,  
გ.ჩაგანავა, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, გ.ჩავლეშვილი, ლ.საჯაია,  
ტ.აროშიძე, შ.გოგიბერიძე.  
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ო.თოთიბაძე.  
მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის  
პასუხისმგებელი მუშაკები.  
მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

**მომხსენებელი:** დავით დარჩია

**თანამომხსენებლები:** ოსიკო თოთიბაძე  
ლავრენტი ბიგვავა

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს (ს/კ.437064515) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**ლაშა თავაძე**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ორთავე საკითხის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

თანამომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა-ლ.თავაძემ ითხოვა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგიდან ბიუროს მორიგი სხდომის მიერ შეტანილი საკითხის- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე“-ამოღება, რადგან მთავრობის სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოდან შემოსულია შენიშვნები, რომელზეც რეაგირება მოთხოვს გარკვეულ დროს. საკრებულოს ბიუროს წევრები დაეთანხმნენ ამ წინადადებას.

### **გადაწყვიტეს:**

1. დღის წესრიგში გათვალისწინებული N1, 2, საკითხი სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეტანილი იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. გათვალისწინებულ იქნას მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის-ლ.თავაძის თხოვნა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე“-საკითხი ამოღებული იქნას დღის წესრიგიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო